პლუს 2 ქულა

ლენინგრადი. კიროვის სახელობის სტადიონი. 22 სექტემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:0).

“ზენიტი”: ვოლოშინი, დერიომოვი, ლოხოვი, ტრემბაჩი, ბულავინი, სადირინი, სტრეპეტოვი, ვიუნი, ხრომცენკოვი (ჟგუნოვი), ზინჩენკო (ნიკოლაევი), კაზაჩონოკი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი (მჭედლიშვილი), ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა.

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

გაფრთხილებული არიან ვიუნი, ებრალიძე.

დუბლიორები 3:2.

3 ტურის წინ ლენინგრადის “ზენიტს” შესანიშნავად ჰქონდა საქმე: იგი სამართლიანად ითვლებოდა ერთ–ერთი საპრიზო ადგილის რეალურ კანდიდატად და წარმატებით იბრძოდა ამ საპატიო მიზნის მისაღწევად. მაგრამ ბოლო სამ ტურში გუნდის საქმეები მკვეთრად გაუარესდა: ზენიტელებმა 2 მატჩი წააგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და ერთბაშად 5 ქულის დაკარგვამ მათს წინაშე ახალი პრობლემები წამოჭრა. ამ პრობლემებიდან ერთ–ერთი პირველი იყო მატჩი თბილისის “დინამოსთან”.

მთელი მონდომებით და ენერგიით უნდა ებრძოლათ თბილისელებსაც, ვინაიდან, მთელი გათამაშების მსვლელობისას განცდილ წარუმატებლობათა მიუხედავად, მათ მაინც აქვთ შანსი მნიშვნელოვნად გამოასწორონ სატურნირო მდგომარეობა.

მიუხედავად იმ დაძაბული სიტუაციისა, რომელიც მატჩს უძღოდა, თამაში დაიწყო და არც ერთი მხარე არ ცდილა ინიციატივის მოპოვებას. “ზენიტის” იერიშებს საკმაოდ იოლად უმკლავდებოდნენ დინამოელთა მცველები, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხურცილავა. იყო ერთი მომენტი, როცა სტრეპეტოვ–ტრემბაჩის კომბინაციას უძლიერესი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ თავი გამოიჩინა გოგიამ, რომელმაც თითქმის უიმედო ბურთისგან იხსნა გუნდი.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა გამოაცოცხლეს თამაში. განსაკუთრებით გააქტიურდა გუცაევი, რომლის მიმართ მასპინძლები ხშირად მიმართავდნენ აკრძალულ ხერხებს, თამაში ახალი განახლებული იყო, როცა გუცაევთან ბრძოლისას დერიომოვმა ბურთის გადაცემა სცადა მეკარისთვის, მაგრამ ეს უზუსტოდ გააკეთა, თბილისელმა კი არ დააყოვნა და შეუფერხებლად გახსნა ანგარიში.

ლენინგრადელებმა ყველა ზომას მიმართეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, 58–ე წუთზე კუთხურიდან კარგად გაითამაშეს ბურთი, რომელიც სტრეპეტოვმა უძლიერესი დარტყმით გაგზავნა კარის ბადეში, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. დინამოელები კარგად მოქმედებდნენ კონტრიერიშებისას და რამდენიმეჯერ სახიფათო მომენტიც შექმნეს.

88–ე წუთზე გუცაევი გაექცა “ზენიტის” მცველებს და პირისპირ გადიოდა მეკარესთან, როცა უხეშად წააქციეს. პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა ჭელიძემ და თბილისელებმა უაღრესად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

(ტელეფონით).

“ლელო”, 24 სექტემბერი, 1974 წ.